# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 261. ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი 1904 წ. გაზეთის № 2639.

## მონეტები

ჯერომ კ. ჯერომისა *)

ამ დღეებში, საღამო ხანს, ერთ მდიდარ კაცთან ვმსჯელობდი. ის თავის თავს ფინანსისტს ეძახის, თუმცა კარგად ვერ ამიხსნია, რას უნდა ნიშნავდეს ესა...

თუმცა ნასადილევი იყო, ჩვენ მაინც დიდებულად მორთულს სასადილო ოთახში ვისხედით. ვერცხლის პაწია ლამპარზე მოუკიდეთ სიგარებს. მსახურმა თავი დაგვანება.

— აი, ეს სიგარები, ჩვენ რომ ვწევთ,—სრულებით მოულოდნელად დაიწყო ჩემმა მეგობარმა:—ეს სიგარები ათასობით რომ ავიღოთ, თვითოეული მიჯდება ხუთ შილლინგად.

— მჯერა,—ვუპასუხე:—ღირან კიდეც.

დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ. როდესაც გავიცანი, სტრანდის ერთ-ერთ მოხვეულში იდგა—ეს ქუჩა ეხლა აღარ არსებობს—მესამე სართულის ერთ ოთახში, რომლის სარკმელიც ეზოს გაჰყურებდა. იმ ხანებში ხშირად ვსადილობდით ერთად და ძალიან იაფადაც, ერთ რომელიღაც რესტორანში, დიდ-პორტლანდის ქუჩაზე. ასე რომ დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით და თან ეს ნაცნობობაც იმდენად დაახლოვებული იყო, რომ ზემოხსენებული კითხვა ჩვენ შორის არ უნდა დაბადებულიყო.

— სამ პენსად-მეთქი,—მაინც ვუპასუხე:—თუ უჯრებზე ვიანგარიშებთ, მაშინ ორ პენს და სამ ფარტინგამდის გამოდის.

— ჰო და აი,—წაიბუზღუნა:—თქვენი ორ-კაპეიკიანი სიგარაც ისეთსავე სიამოვნებასა გგვრით, როგორსაც ჩემი ხუთ შილინგიანი. აქედან ის გამოდის, რომ როდესაც მე ვეწევი, ოთხი შილლინგი, ცხრა პენსი და ერთი ფარტინგი წყალში გადაყრილი ფულია. მზარეულს ორას გირვანქა სტერლინგს ვაძლევ





ქანდაკებანი კუტანისა.

— დიაღ, ეგ თქვენთვის,—თითქმის მრისხანედ შემომიტია:—მხოლოდ თქვენ რამდენად ყიდულობთ?

წლიურად, მაგრამ მაინც იმაზე ნაკლები მადა მაქვს, როდესაც ოთხ-შილინგიან სადილს გიახლებოდით ნახევარ ბოთლ კიანტის ღვინითურთ. აბა რა განსხვავებაა პირადად ჩემთვის: სა-

*) იხ. „დამატება“ № 259, 1904 წ.



გენერალი კონდრატენკო პორტ არტურის პოზიციებს ათვალიერებს.

კუთარი ეტლით წავალ კანტორაში, თუ ტრამვაით? მე ხშირად დავდივარ ტრამვაით—ნაკლები დავიდარაბა უნდება. სისულელეა დრო დაკარგო შენის საკუთარის მეეტლის ძებნაში იმ დროს, როდესაც შენის სახლის კარებიდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე ტრამვაი გამოგივლის. როდესაც ამდენიც არ მქონდა, რომ ტრამვაით მევლო, მაშინ ყოველ დღე ჰამმერსმიტიდან ფეხით დავდიოდი,—უფროც მიხდებოდა. შეგეზარება იმის წარმოდგენა, რომ ამდენს ვმუშაობ და არავითარი სიკეთე-კი არ მომაქვს თავისათვის. ჩემი ფული სხვების სასიამოვნოდ არის გაჩენილი, იმათთვის, რომელნიც ვითომ მმეგობრობენ და ჩემი ფულით კი უნდათ ისარგებლონ, იმათთვის, რომელთაც ეგრე გულ-გრილად ვეკიდები. მერე რამდენნი არიან ეს მეგობრები? რომ შემეძლოს ყოველ საღამოს ას-გინეიანი სადილი ვჭამო და განვცხრე ოთხასჯერ იმაზე მეტად, რამდენადაც განვცხრებოდი ხუთ-შილინგიან სადილზე, მაშინ კიდევ ჰო, რაღაც აზრი იქმნებოდა ამაში. ეხლა კი, აბა რათ ვირჯები ესრე?

იმისაგან ამგვარი რამ თავის დღეში არ გამეგონა. ლაპარაკის დროს წამოდგა და აღელვებულმა ოთახში სიარული დაიწყო.

— რად არ მივცემ ისეთ გზას ჩემს ფულს,—განაგრძობდა იგი:—ესე იგი რად არ მივაბარებ ისეთ ადგილას, რომ ორი, ორნახევარი სარგებელი მაძლიოს? რაც უნდა ცუდი მდგომარეობა ავიღოთ, წლიურად ხუთი ათასს გირვანქას მაინც ავიღებ. ამაზე მეტი რაღა უნდა ცოტად თუ ბევრად გონიერ ადამიანს? მეც ყოველთვის იმას ვეუბნები ჩემ თავს, რომ ასე მოვიქცევი მეთქი, მაგრამ აბა რად არ ვასრულებ?

— ჰო და რად არ ასრულებთ?—გაუმეორე მეც.

— აი, თვით მიბრძანეთ თუ რად.—მიპასუხა მან:—ამბობენ, თქვენ კაცის ბუნება კარგად გაგეგებათ, ჩემთვის კი ეს საიდუმლოა. თუმცა, მე მგონი, კარგად იცით, რომ ჩემს ალაგას თქვენც ჩემსავით მოიქცეოდით. თქვენთვის რომ ვინმეს სახვალიოდ ეანდერძებინა ასი ათასი გირვანქა, თქვენ ან გაზეთს დაარსებდით და ან თეატრსააშენებდით, ერთის სიტყვით, ერთს ისეთ რასმე გამოიგონებდით, რომელიც თქვენ ფულს სრულიად ჩანთქავდა და თქვენც ყოველ-დღე ჩვიდმეტის საათის განმავლობაში ტანჯვა-წვალებას მოგაყენებდათ. კარგად იცით, რომ ეს ასეა.

მე, სირცხვილეულმა, თავი ჩავღუნე. ვგრძნობდი ამ ბრალდების სიმართლეს: ჩემი ოცნება ყოველთვის ის იყო, ან

— ჩვენ რომ მხოლოდ მას ვიძენდეთ,—განაგრძობდა კვლავ.—რისი დახარჯვაც შეგვიძლიან, ხვალვე მთელის ლონდონის დუქნები დაიკეტებოდა. ძალიან საგულისხმოდ მიმაჩნია შევიძლო ავხსნა ის ინსტიქტი, რომელიც გვაიძულებს ვიშრომოთ და ვიშრომოთ მხოლოდ ამ შრომის გულისათვის. ეს რა ახირებული ძალაა, რომ გვიპყრობს და გვაძალებს მუშაობას?

ამ დროს შემოვიდა მსახური და თან მოიტანა ტელეგრამმა ავსტრალიის მადნების გამგესაგან გამოგზავნილი. ჩემი მასპინძელი თავის სამუშაო ოთახში უნდა გასულიყო. მეკი წაველი სახლში და იმის ნალაპარაკევს ვუფიქრდებოდი. რა საჭიროა. ეს დაუსრულებელი შრომა-მეთქი? რად ვდგებით ყოველ დილას, ვიბანთ პირს, ვიცვამთ ტანს; იმისთვის, რომ ღამით კვლავ გავიხადოთ და კვლავ ჩავწვეთ ლოგინში? რად ვმუშაობთ იმისთვის, რომ მოვიპოვოთ „პური არსებითი" და შემდეგ შევექცევით ამ პურს იმისთვის, რომ მოვიკრიბოთ ძალ-ღონე კვლავ სამუშაოდ? რად ვცხოვრებთ იმისთვის, რომ ბოლოს მაინც ერთი მეორეს უნდა დავემშვიდობნეთ? რად ვზრუნავთ შვილების აღზრდაზე? ისინიც ხომ თავის დროზე გარდაიცვლებიან და დასაფლავებულ იქმნებიან? ვისთვის აბა რა საჭიროა ჩვენი გიჟური ბრძოლა, ჩვენი ვნებით აღსავსე სურვილები? ნუ თუ მომავალში ექმნება რამე მნიშვნელობა იმას, რომ ბადახოზას სიმაგრეებზე კავშირის ბაირაღი ფრიალებდა, თუ სამ-ფეროვანი! ჩვენ-კი იქაური თხრილ-ორმოები ჩვენის სისხლით ამოვამსეთ, რომ ეს საკითხი გადაგვეწყვიტა. იმ დროს, როდესაც კვლავ დადგება ხანა ყინულოვანი და დედა-მიწას მდუმარება მოიცავს, ნუ თუ სულ ერთი არ იქმნება, თუ პოლიუსს ვისი ტერფი შეეხო პირველად? მიუხედავად ამისა, მოდგმიდან მოდგმამდე ჩვენი ძვლებით თეთრად იფინება გზა პოლიუსისა. ჩვენ მეტად მალე ვხდებით ჭიების მსხვერპლად: მაშ სულ ერთი არ არის, რომ



რუსების სიმაგრე ლიაოიანს ახლოს.

ვცოცხლებდით, მაშინ გვიყვარდა, თუ გვძულდა? მიუხედავად ამისა ჩვენს ძარღვებში მაინც მხურვალე სისხლი სჩქეფს; გულ-



ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარი მდინარე ტაიძიხეში გადის.

ბით, რომელნიც, მივუახლოვდებით თუ არა, ისედაც ნისლ-ბურუსში გამოხვეულნი, სრულებით ქრებიან და უჩინარდებიან.

თესლისაგან მცენარე აღმოცენდება ხოლმე. მას გამოაქვს წვენი მიწისაგან, ყოველ-ღამ ჰკეცს თვის ფურცლებს და ისვენებს. შემდეგ ახირებულის სახით მოდის სიყვარული და მცენარეც სცდილობს მიიღოს მტვერი სხვა ყვავილის, და აი, იშლება იგი, იფურჩქნება, ხოლო ფრთოსან მწერთ გადააქვს მტვერი ერთი ყვავილისაგან მეორეზე. ზაფხული კი მიდის და თან მიაქვს წვიმა, ქარიშხალი, სანამ ყვავილი არ დაულონებია. ყვავილს კი მაინც არ გაეგება, რად იყო ამ ქვეყნად, რა იყო ნამდვილი მიზეზი მისის არსებობისა; იმას ჰგონია, რომ ბაღი მისთვის იყო გაჩენილი და არა თვით იგი ბაღისათვის. მარჯნის ჰოლიპი (ოთხოპოდი, სიპინი) თვისი ჰაწია სულით, რომელიც შეიძლება ამ ცხოველის კუჭისაგან შესდგება, ბინასა და საკვებზედა ფიქრობს. ამისათვის სცხოვრობს იგი წყლის ბნელ სიღრმეში და არა იცის-რა ხმელეთისა, რომელიც მისის შრომით შენდება.

საკითხი გადაუწყვეტელი რჩება: რისთვის ხდება ყველა ეს? მეცნიერება გვიხსნის ამას. საუკუნო განმავლობაში, ბრძოლისა და მეცადინეობის შემდეგ, ჩვენ ვაუმჯობესებთ ჯიშსს. ბანდულისაგან გაჩნდა მაიმუნი და მისგან წარმოიშვა ადამიანი. მომავალ მოდგმათა მეცადინოებით იგი თანდა-თან თავს დაახწევს თავის ზოგიერთ პირუტყვულ მხარეებსა. მწუხარება და ბრძოლა, ძარღვებისა და ტვინის მოძრაობა, ჰაპან-წყვეტა ბოლოს ანგელოზს დაამსგავსებენ, გაუტოლებენ მას. იგი შესდგამს ფეხს თვის სამეუფოში.

მაგრამ რა საჭიროა სამძიმო ზრდა? რად გვინდება ესდენ ურიცხვი საუკუნენი? რატომ თავიდანვე არ არის კაცი ღვთაებრივად გაჩენილი, იმ გვარად, როგორიც უნდა გახდეს? რატომ თავიდანვე არა აქვს ის სისრულე მონიჭებული, რომლის მოსაპოებლად გარდაცვლილან მისი წინაპრები? რად სცხოვრობდნენ ქვეყნად პიკტები და ჰუნები, თუ მათ შემდეგ მე დავიბადებოდი? რად ვცხოვრობ თვით მე, თუ კი ჩემს შემდეგ გაჩნდება ისეთი შთამომავალი, რომელიც მე ველურად დამსახავს? თუ კი ქვეყანას მართავს შემოქმედი, [illegible]

პროტოპლაზმას ბანდული? რატომ თავშივე ისე არ არის შექმნილი ადამიანი, როგორიც **უნდა იყოს**—მეთქი? ნუ თუ ამდენი მოდგმა ცოცხალთა უნდა დაიღუპოს იმისთვის, რომ ბოლოს **მან** იცოცხლოს? ნუ თუ მეც დედა-მიწას იმიტომ შევეძინები, რომ **მას** ნიადაგი დავუმზადო?

თუ კი მომავალი **სხვა ქვეყნებს** ეკუთვნის, მაშინ რათ არსებობს ჩვენი ცთომილი ქვეყანა? ნუ თუ ჩვენ ისეთ შენობას ვაშენებთ, რომელსაც ჩვენი თვალი ვერ შემოუწვდება? ნუ თუ ჩვენი სურვილები და გულის თქმანი ჰგავან იმ მათრახს, რომელიც ჩვენ გვერეკება? ყოველ-გვარი თეორია მირჩევნია იმ შემეცნებას, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება, ყოველივე თვისი აღტყინებული გრძნობებითა, ჰგავს ბორბლის გალიაში ჩასმულ თრითინას ტრიალ-წრიალს. როდესაც კი ჩვენის მცირე მხედველობით აღჭურვილის თვალით ვიხედებით წარსულისაკენ, რასა ვჭვრეტთ?—დიდის მეცადინეობითა და ჰაპან-წყვეტით აღორძინებული განათლება, ცივილიზაცია იღუპება, ჰქრება, იგვება პირისაგან ქვეყნისა. სარწმუნოებანი, რომლისათვისაც სცოცხლობდნენ და კვდებოდნენ ადამიანები, მხოლოდ ერთი-ღა შეცდომა და გზა-დაბნეულობა გამოდის. საბერძნეთის ხელოვნება გოტ რეგვენთა მიერ ქვენარცხდება. ოცნებანი ძმობის შესახებ ნაპოლეონის მიერ სისხლში ინთქმება. მაშ რაღა გვრჩება იმ იმედის გარდა, რომ მხოლოდ თვით შრომაა ჩვენი ნამდვილი ძეგლი და არა ამ შრომისაგან გამომავალი შედეგი? შეიძლება იმ ბავშვებს ვგევართ, რომელნიც კითხულობენ ხოლმე: „რად გვინდა ეს განარკვები, რაში გამოგვადგებაო?“ მაგრამ აი, დადგება დრო და ჭაბუკს უკვე ესმის თუ რად ასწავლიდნენ გრამატიკას, გეოგრაფიას; თვით ქრონოლოგიასაც კი ეძლევა მნიშვნელობა. მხოლოდ ეს მაშინ ხდება, როდესაც ის სტოვებს სასწავლებელს და შედის დიდს, უშველებელს ქვეყანაში.

შეიძლება ჩვენც, როდესაც ცოტა უფრო წამოვიზრდებით, გავიგებთ აზრს ჩვენის ცხოვრებისას.

შალვა დადიანი.

# სხვა და სხვა ამბები

**დალაი-ლამას ქვეყანაში.** როგორც იყო შეანგრიეს ევროპიელებმა ის კედელი, რომელიც ტიბეტის დალაი-ლამამ აიფარა თავის თავისა და თავის სამფლობელოს დასაცველად სხვათა შესევისაგან. ინგლისის ექსპედიციამ ბოლო მოუღო ტიბეტის კარ-ჩაკეტილობას. ევროპიელნი, თითო-ოროლანი, წინადაც ყოფილან ტიბეტში, მაგრამ რა წვალებითა და ვაი-ვაგლახით გადაუვლიათ ამ ქვეყნის საზღვარი! ამასთან ვინც შესულა, მალულად შესულა, რადგან დალაი-ლამას მოხელენი ამ შემთხვევაში სასტიკად იქცეოდნენ და დაუპატიჟებელ სტუმარს სიკვდილით სჯიდნენ. ბევრი მოგზაური აწამეს და აწვალეს ტიბეტში. ამიტომ ვერც ერთმა მოგზაურმა დაწვრილებით ცნობები ვერ მოიტანა ტიბეტიდან. ეხლა დიდის ცნობის-მოყვარეობით მოელიან ექსპედიციის დაბრუნებას, რადგან ეს ექსპედიცია და კორესპონდენტები, რომელნიც იმასთან იყვნენ, ბევრ ახალ რამეს მოიტანენ ტიბეტის შესახებ. ექსპედიციის წარმომადგენლებსა და კორესპონდენტებს დალაი-ლამას სატახტო ქალაქ ლხასსაში დაუთვალიერებიათ სხვა და სხვა ტაძრები, მონასტრები, სასახლეები, დაუვლიათ შესანიშნავი ადგილები, გადაუღიათ სურათები და სხვა. ყველა ამას, ვიმეორებთ, მეცნიერნი და მკვლევარნი მოუთმენლად მოელიან.

*
* *

**შავკანიანი მილიონერი.** ჰაიტის (ჰაიტის კუნძულები დიდ ოკეანეშია) აბრეშუმის პლანტაციების პატრონს შავკანიან მილიონერს ჯემტს აზრად მოსვლია თავის სასახლეში კლასიკურ ქანდაკებათა მუზეის გამართვა. ამიტომ ყველა კუთხიდან გამოუწერია კლასიკურ ქანდაკებების გიპსისაგან გაკეთებული პირები. როცა ყველა ეს ქანდაკება მიიღო და თავის სასახლის მუზეუმში ჩაამწკრია, ხელოვნების მეცენატს ჭკუაში არ მოუვიდა ამ ქანდაკებათა თვალის მომჭრელი თეთრი ფერი. იფიქრა, შავკანიანებზე ეს თეთრი ქანდაკებანი შესაფერ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს და კარგი იქნება შავად შევადებინოო. სთქვა და აასრულა კიდეც. ამ რიგად ბერძენთა შესანიშნავი ვენერა, აპოლონი, ჰერკულესი და სხვათა თეთრი ქანდაკებანი ხელად შავკანიანებად გადაიქცნენ და ამ სახით ეს ქანდაკებანი ეხლა უფრო მეტად ხიბლავს მუზეიში მოსიარულე შავკანიან მცხოვრებთ.

*
* *

**ყაჩაღის ძეგლი.** ეხლა ხან ქალაქ ფორლიმპოპოლში (იტალიაში) აკურთხეს ერთი ძეგლი. ძეგლი შუა ქალაქშია, თეატრის წინ, მოედანზე. 1845 წელს ქალაქის თეატრში ადგენდნენ როსინის ოპერას „იტალიელ ქალს ალჟირში“. წარმოდგენაზე ქალაქის მთელი არისტოკრატია იყო. შუა წარმოდგენის დროს თეატრს შემოერტყა თავის ბრბოთი ცნობილი ყაჩაღი და ყაჩაღთა ბელადი პასოტორე. ყაჩაღებმა თეატრში ყველანი დაძარცვეს და არხეინად წავიდნენ. ამ ამბის სახსოვრად, ეხლა თეატრთან ძეგლი დასდგეს. ყველა ყაჩაღის ძეგლს ეძახის. თვით პასოტორე ფორლიმპოპოლელი იყო. როგორც მემატიანენი ამბობენ, ამ ქალაქს პასოტორეზე შესანიშნავი და სახელგანთქმული მოქალაქე არა ჰყოლია, ასე რომ ძეგლი ეკუთვნის...



— თქვენა სთქვით, კარგად გაწვრთნილი ცხენიაო, სამჯერ კი გადმომაგდო.

— დღეს კვირა გახლავს და უთუოდ დასვენება უნდოდა.



**ცოლი.** რას შვრები, სწვავ ჩემთან მოწერილ წერილებს, სადაც სიყვარულს მიცხადებდი?!

**ქმარი.** ანდერძსა ვწერ და თუ ეს წერილები არ დავწვი, ვინც წაიკითხავს, ჭკუიდან შეშლილი ვეგონები და ანდერძს გააუქმებენ.



**არტისტი** (თეატრის ანტრეპრენერს). მომეცით ავანსი, თორემ შიმშილით კუჭი მიხმება.

**ანტრეპრენერი.** როგორ, გუშინ იმდენი ვაშლი და კვერცხი გესროლეს სცენაზე, ვერ აჰკრეფდით? ხომ გამოგადგებოდათ საჭმელად!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი